

სახელი; გვარი:	მერაბ ხაჩატურიანი

გთხოვთ მიუთითოთ საქართველოს რომელ ქალაქებში ისურვებდით მუშაობას?	რუსთავი, თბილისი.
გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის საინტერესო სამუშაო სფერო/პოზიცია, სადაც ისურვებდით მუშაობას მომავალში:	არქიტექტორი

პერსონალური ინფორმაცია:

დაბადების თარიღი:	09.10.1977
მისამართი:	ქ.რუსთავი მე20 მკრ. ბინა 18, ოთხი 67
სახლის ტელეფონის ნომერი:	0341223327
მობილური ტელეფონის ნომერი:	597530607

ელ.ფოსტის მისამართი:	merabiikh@gmail.com

განათლება (უმაღლესი განათლება, ტრენინგები, სერთიფიკატები, კურსები):

უნივერსიტეტის / სასწავლებლის დასახელება	*ფაკულტეტი / სპეციალობა*	*დაწყების თარიღი*	*დასრულების თარიღი*	*მიღებული ხარისხი*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	არქიტექტურის ინსტიტუტი	1995	2000	

სამუშაო გამოცდილება:

კომპანიის დასახელება	*დაკავებული პოზიცია; მოვალეობები*	*დაწყების თარიღი*	*დასრულების თარიღი*
შპს „ალფა დიზაინი“	ავეჯის დიზაინერი	15/10/2002წ	1/06/2010წ
შპს „დიზაინ პლიუს სერვისი“	არქიტექტორ დიზაინერი	15/06/2010წ	15/07/2014წ
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	არქიტექტორი	1/07/2014წ	31/12/2016წ
შპს „ცინცაძე და კომპანია	არქიტექტორი	25/08/2018წ	დღემდე

შესრულებული პროექტები	ხარაგაულის სპოტრული კომპლექსი	2011წ
	ბოჭირმის ქუჩის საცხოვრებელი კომპლექსი	2008-2009 წ
	კერძო ინდივიდუალური საცხოვრველი სახლბი	
	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია რეკონსტრუქცია	

უცხო ენები:

უცხო ენა	*ცოდნის დონე: 4 – თავისუფლად; 3- კარგად; 2- საშუალოდ; 1- დამწყები;*
რუსულსი	საშუალოდ
ინგლისური	დამწყები

რეკომენდატორები:

რეკომენდატორის სახელი და გვარი:	*ზაზა ჩაჩხიანი*
კომპანია:	შპს „დიზაინ პლიუს სრვისი“
პოზიცია:	დირექტორი
საკონტაქტო ინფორმაცია:	599102277

რეკომენდატორის სახელი და გვარი:	*გიორგი შალუტაშვილი*
კომპანია:	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პოზიცია:	დირექტორის პირველი მოადგილე
საკონტაქტო ინფორმაცია:	0322200220

რეკომენდატორის სახელი და გვარი:	*გოჩა ცინცაძე*
კომპანია:	შპს „ცინცაძე და კომპანია“
პოზიცია:	დირექტორი
საკონტაქტო ინფორმაცია:	599154477

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილის. საბურთალოს რაიონი. ს/კ 01.10.08.005.058 საკადასტრო ერთეულებზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ა და ბ ბლოკის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: ვალერი მიმინოშვილი

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანაბედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური ფართია 3642 კვ/მ მდებარეობს ქ. თბილისი. საბურთალოს რიონი. ს/კ 01.10.08.005.058 საკადასტრო ერთეულებზე. ტერიტორია წარმოადგენს სწორ რელიეფს. მიწის ნაკვეთს ჩრდილეთის მხრიდან აკრავს სატრანსპორტო გზა, საიდანაც შესაძლებელია საპროექტო ნაგებობას მიუდგეს სახანძრო მანქანა. დანარჩენ სამ მხარეს ესაზღვრება კერძო ნაკვეთები.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ა და ბ ბლოკი. ა ბლოკი მიწისზედა თერთმეტ სართულიანია, -1 მიწისქვეშა სართულზე -3,00 ნიშნულზე (ავტოსადგომი) მდებარეობს. მიწისზედა ორ სართულზე (საოფისე ფართი) მდებარეობს გასასვლელის დონეზე 0,00 და 3,9 ნიშნულის ჩთვლით. საოფისე ფართის ზევით არის ცხრა სართული საცხოვრებელი ბინები. ბ ბლოკი მიწისზევით ცამეტ სართულიანია -3,00 და -6,00 ნიშნულზე განთავსებულია ავტოსადგომი 0,00 ნიშნულზე ასევე განთავსებული ღია ავტოსადგომი. დანარჩენი 12 სართული არის საცხოვრებელი ფართი მისი სიმაღლე არ აღემატება 42,05 მ-ს.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა.

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. საძირკველს წარმოადგენს ადგილზე ფორმირებული რკინაბეტონის ფილა, ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილებითაა მოწყობილი ყველა სართულშუა გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

სწ-2 (311.3) მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი"-ს. ეს დაკავებულობა განლაგებულია B ბლოკში -6.00, -3.00 და 0,00 ნიშნულზე, ხოლო A ბლოკში -3,00 ნიშნულზე.არსებულ სართულზე. **წესების** 1004.1.2 ქვეთავის მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18,6 მთლიანი).

დს (312.1) დამხმარე სათავსო რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ავზებს". ამ დაკავებულობაში განთავსებულია ავტოსაშხეფი სისტემის ავზი. ეს დაკავებულობა განლაგებულია ა ბლოში -3,00 მიშნულზე ხოლო ბ ბლოოკში -6,00 ნიშნულზე. **წესების** ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (27,9 მთლიანი).

სქ (303,1) საქმიანი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "პროფესიულ მომსახურეობებს". ეს დაკავებულობა (საოფისე ფართი) განლაგებულია ა ბლოკში 0,00. +3,90 ნიშნულზე. **წესების** ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (9,3 მთლიანი).

სც-2 (303.4) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "მრავალბინიან სახლებს". ეს დაკავებულობები (საცხოვრებელი ბინები) განლაგებულია - ა კორპუსში +6,95- +10,0 – +13,05 – +16,10 -+19,15 - +22,20 - +25,25 - +28,30 - +31,35 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. ბ კორპუსში +3,00- +6,05– +9,10- +12,15- +15,20- +18,25- +21,30- +24,35- +27,40- +30,45- +33,50- +36,55 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე **წესების** ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18,6 მთლიანი).

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა ა ბლოკი განისაზღვრა **I-B ტიპის** კონსტრუქციად, ხოლო ბ ბლოკი განისაზღვრა **I-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება: ა ბლოკი

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე ა ბლოკიშ 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	1
ფართი	7340	459.17
სიმაღლე	48,8	3,00

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	11
ფართი	შეუზღუდავი	3896.28
სიმაღლე	48,8	24,5

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სქ** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	2
ფართი	შეუზღუდავი	754.82
სიმაღლე	48,8	6,95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	5	1
ფართი	3300	40,12
სიმაღლე	48,8	3,00

1. სიმაღლისა და ფართობის შეფასება: B ბლოკი

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე B ბლოკში 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	3
ფართი	შეუზღუდავი	2095.76
სიმაღლე	შეუზღუდავი	9,00

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	12
ფართი	შეუზღუდავი	8261,52
სიმაღლე	შეუზღუდავი	33,55

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	46,95
სიმაღლე	შეუზღუდავი	3,00

2. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

წესების 1021.2 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე ა და ბ ბლოკში მოიწყობილია თითოში ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლით. ეს კიბეები აკავშირებს ნაგებობას ყველა სართულს ერთმანეთთან. დაგეგმარებულია 1009.2, 1009.3 1022.1 და 1022.3 ქვეთავების მიხედვით. გზა კიბეები დაკავშირებულია დერეფნებთან საიდანაც შესაძლებელია მოხვედრა ყველა ბინაში და ასევე დაკავშირებულია შენობიდან გამოსასვლელთან. ა ბლოკში ნაგებობის პირველი სართულს, რომელიც მდებარეობს 0,00 ნიშნულზე აქვს 2 გასასვლელი. დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი **წესების** 1015,2,1 ქვეთავის მიხედვით. ა ბლოკში -3,00 ნიშნულზე და ბ კორპუსში -6,00 და -3,00 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომს აქვს ორი გასასვლელი და აქაც წესების მიხედვითაა განსაზღვრული გასასვლელებს შორის მანძილი.

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. გაღებულ მდგომარეობაში მათი სიგანეები არის 0,9 მეტრი და მეტი.

შენობიდან გამოსასვლელი **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისად მდებარეობს მიწის დონეზე და გადის შენობის გარეთ.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. გზა-კიბის და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-კიბე. **წესების** 1009.4 ქვეთავის მიხედვით თვითოეული გზა-კიბის სიგანე არის 1.1 მეტრი. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად,

ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით. სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებs, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს. ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. მისაწვდომობის შეფასება:

რადგან პირველი სართულის იატაკი მდებარეობს საავტომობილო გზის სიმაღლეზე **შშმ** პირი საავტომობილო გზიდან პირდაპირ ხვდება პირველი სართულის იატაკის ნებისმიერ წერტილში, მათ შორის ლიფტში. ლიფტით აქვს შესაძლებლობა ნაგებობის ყველა სართულზე და ყველა ბინაში მოხვდეს. ა ბლოკში -3,00 მიშნულზე და ბ ბლოკში -3,00 და -6,00 ნიშნულზე არსებული ავტოსადგომი არის მისაწვდომი, მისაწვდომი 5 ცალი ავტოსადგომი განლაგებულია 0,00 ნიშნულზე, რაც აკმაყოფილებს წესების 1106,1 ცხრილის მოთხოვნებს. ნაგებობის ყველა სართული და ყველა სივრცე მისაწვდომია. მისაწვდომი თუალეტი განლაგებულია 0,00 და +3,90 ნიშნულზე საქმიან დაკავებულობაშიც. იგი სრულად შეესაბამება **წესების** 11 თავის მოთხოვნებს.

5. ლიფტების შეფასება:

როგორც ა ბლოკში ისე ბ ბლოკშში მოწყობილია 2 ლიფტი (1007.2.1), რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის და ასევე ერთ-ერთი ლიფტი ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,60 ზომის საკაცის შეტანა. ლიფტის დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1702.4. 1109.7 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ლიფტები უკავშირდება ნაგებობის სართულებზე არსებულ დერეფნებს. ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა. მის ზედა ნაწილში მოწყობილია ლიფტის სამანქანე ოთახი, რომელიც დაკავშირებულია გზა კიბესთან. ლიფტის შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით. ლიფტი წესებთან სრული შესაბამისობითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს **წესების** მე-17 თავის მოთხოვნებს.

6. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილის მოთხოვნებს. იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.

გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

7. სახურავის ანაწყობის შეფასება:

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. ა ბლოკში შენობის I-B კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს, ბ ბლოკში I-A კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს, თუმცა საპროექტო ნაგებობის სახურავი არის რკინაბეტონის ფილა და იგი მინიმუმ ორ საათიანი ცეცხლმდეგობისაა. შესაბამისად იგი აკმაყოფილებს **წესების** ყველა მოთხოვნას.

8. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

ვინაიდან ა ბლოკის შენობაში ოთხი სხვადასხვა დაკავებულობაა 508.4 ცხრილის მიხედვით სწ-2, სქ დაკავებულობებისგან საჭიროებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავს. გამმიჯნავის ფუნქციას ასრულებს სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილა. სწ-2 დს დაკავებულობისაგან არ საჭიროებს ცეცხლმედეგ გამმიჯნავს. სც-2 სქ დაკავებულობებისგან საჭიროებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავს. გამმიჯნავის ფუნქციას ამ შემთხვევაშიც ასრულებს სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილა. გამმიჯნავები სრულად აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

ბ ბლოკის შენობაში სამი სხვადასხვა დაკავებულობაა 508.4 ცხრილის მიხედვით სწ-2, სც-2 დაკავებულობებისგან საჭიროებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავს. გამმიჯნავის ფუნქციას ასრულებს სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილა. სწ-2 დს დაკავებულობისაგან არ საჭიროებს ცეცხლმედეგ გამმიჯნავს. გამმიჯნავები სრულად აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

9. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

როგორც ა კორპუსის -3,00 ნისნულზე ისე ბ კორპუსის -3,00 და -6,00 ნისნულზე ავტოსადგომის სართული **წესების** 903.2.10 უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

აგრეთვე გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით ყველა დაკავებულობაში და დერეფნებში და განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად.

კიბის შემოზღუდულ სივრცეში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები და ასევე მისაერთებელი მოწყობილია ეზოში, გზის პირას, კიბესთან.

ლიფტის შახტაში დაყენებულია კვამლის საკონტროლო სისტემა.

სც-2-ში და დერეფნებში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა.

10. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს. კერძოდ პირველ სართულზე სადაც განთავსებულია სავაჭრო დაკავებულობა, მოწყობილია ერთი მისაწვდომი ტუალეტი, ხოლო დანარჩენ სართულებზე საცხოვრებელ ბინებში წესების მიხედვით მოწყობილია ტუალეტები.

დ ა ს კ ვ ნ ა

აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილის. საბურთალოს რაიონი. ს/კ 01.10.08.005.058 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: მერაბ ხაჩატურიანი.